USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

,,ელექტრონული ჯანდაცვა“

სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდული

სახელმძღვანელო სამედიცინო შემთხვევების ინსპექტირებისთვის

ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა

დეკემბერი

2013

სარჩევი

შესავალი		3
1.	მომხმარებლის ავტორიზაცია	3
2.	ნავიგაციის პანელი	5
3.	დარეგისტრირებული შემთხვევების ძიება	5
4.	შემთხვევის ინსპექტირება	11

შესავალი

სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდული წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ნაწილს, რომლის დანიშნულებაა სამედიცინო დაწესებულებების მიერ სტაციონარული სამედიცინო შემთხვევების ონლაინ რეჟიმში რეგისტრაცია, რაც საშუალებას მისცემს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, მიიღოს ინფორმაცია რეალურ დროში ნაცვლად რეტროსპექტულისა და მოახდინოს მისი შესაბამისი ანალიზი და სამედიცინო შემთხვევებზე სათანადო რეაგირება.

სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდული განთავსებულია ინტერნეტში „ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის“ ელექტრონული ჯანდაცვის“ პორტალზე ფინანსური აღრიცხვისა და მართვის კატეგორიაში შემდეგ მისამართზე: ehealth.moh.gov.ge / case.moh.gov.ge

1. მომხმარებლის ავტორიზაცია

სისტემაში შესასვლელად, მომხმარებელმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია მისთვის წინასწარ მინიჭებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით (ამ ინფორმაციას მას აწვდის სისტემის ადმინისტრატორი). მიუთითეთ მომხმარებელი, პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“ (ნახ. 1).

ნახატი 1



ნებისმიერი დონის მომხმარებელს აქვს საშუალება შეცვალოს პაროლი, რისთვისაც იგი გადის შემდეგ გზას:

ღილაკზე დაჭერით იხსნება პაროლის შეცვლის ფანჯარა, სადაც შესაბამისად უნდა მიუთითოთ მიმდინარე და ახალი პაროლი. ახალი პაროლის შეყვანისას უნდა მიეთითოს მიმდინარე პაროლი და შემდეგ ახალი პაროლი რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ ერთ ასოს. შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, კვლავ უნდა გაიმეოროთ ახალი პაროლი.

„შენახვა“ ღილაკით კი ცვლილება აისახება მონაცემთა ბაზაში (ნახ. 1.1).

ნახატი 1.1



2. ნავიგაციის პანელი

ნავიგაციის პანელში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია (ნახ. 2):

ნახატი 2



- რეგისტრაცია
- ინსპექტირება
- ანალიტიკა
- რეგულირება

აღნიშნულ დოკუმენტში განხილულია, სამედიცინო შემთხვევების რეგისტრაციის მოდულის ინსპექტირების ინსტრუქცია.

3. დარეგისტრირებული შემთხვევების ძიება

ავტორიზაციის გავლის შემდეგ, ინსპექტორი ავტომატურად გადადის დარეგისტრირებული შეტყობინებების ძიების გვერდზე (ნახ. 3).

ნახატი 3



ინსპექტორს აქვს საშუალება განახორციელოს სისტემაში დარეგისტრირებული შემთხვევების ძიება შემდეგი ველების მიხედვით:

- შემთხვევის ID (შემთხვევის საიდენტიფიკაციო ნომრით)
- პაციენტის პირადი ნომრით
- პაციენტის სახელით და გვარით
- ორგანიზაციით
- შემთხვევის სტატუსით

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნებისმიერი ველის მიხედვით ძიებისას უნდა დაფიქსირდეს პერიოდი, რომელ შუალედშიც ხორციელდება ძებნა.

3.1 <u>ძიება შემთხვევის საიდენტიფიკაციო ნომრით</u>

შემთხევის საიდენტიფიკაციო ნომერი წარმოადგენს, ციფრების უნიკალურ ერთობლიობას, რომელსაც სისტემა ავტომატურად ანიჭებს თითოეულ დარეგისტრებულ შემთხვევას. საიდენტიფიკაციო ნომრით ძიებისას, ინსპექტორი საძიებო ველში უთითებს შესაბამის ნომერს და ღილაკით „ძებნა“ ეკრანზე გამოდის დარეგისტრირებული შემთხვევა საიდენტიფიკაციო ნომრით (ნახ. 4).

ნახატი 4



3.2 შემთხვევის ძიება პირადი ნომრით

სამედიცინო შემთხევის პირადი ნომრით ძებნისთვის, მომხმარებელმა უნდა მონიშნოს შესაბამისი ველი

და საძიებო ველში შეიტანოს პაციენტის პირადი ნომერი (ნახ. 5).

ნახატი 5



3.3 შემთხვევის ძიება სახელითა და გვარით

სამედიცინო შემთხევის სახელით და გვარით ძებნისთვის, მომხმარებელმა უნდა მონიშნოს შესაბამისი ველი

და საძიებო ველში შეიტანოს პაციენტის სახელი ან გვარი (ან ორივე ერთად) და დააჭიროს ,,ძებნის" ღილაკს (ნახ. 6).

ნახატი 6



3.4 შემთხვევის ძიება ორგანიზაციის მიხედვით

სამედიცინო შემთხვევის დაწესებულებების მიხედვით ძებნისთვის მომხმარებელმა უნდა ამოირჩიოს შესაბამისი ველი და საძიებო ველში შეიტანოს სამედიცინო დაწესებულების დასახელება ან დასახელების ფრაგმენტი და დააჭიროს ,,ძებნა" ღილაკს.

დაწესებულების შესახებ ინფორმაციის მეტი დეტალიზაციისთვის შეგვიძლია ასევე მივუთითოთ რეგიონი (ნახ. 7).

ნახატი 7



3.5 ძიების შედეგები

ნებისმიერი პარამეტრით ძებნისას შეტყობინების ჩამონათვალში გამოდის შემდეგი მონაცემები (ნახ. 8):

ნახატი 8



3.6 <u>ველების აღწერა</u>

ინფორმაციის სასურველი პარამეტრით მოძიებისას ეკრანზე გამოდის დაჯგუფებული ინფორმაცია შემდეგი ცხრილის სათაურების მიხედვით:

- შეტყობინების სტატუსი - სისტემაში დარეგისტრირებული სამედიცინო შემთხვევის მდგომარეობა: დახურული შეტყობინება (როდესაც პაციენტი გაეწერა/აღარ იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში) და მიმდინარე შეტყობინება (როდესაც პაციენტი მკურნალობს სამედიცინო დაწესებულებაში)
- შემთხვევის ტიპი - ამბულატორიულია თუ სტაციონარული შემთხვევა
- შემთხვევის ნომერი - შემთხვევისთვის სისტემის მიერ მინიჭებული უნიკალური ნომერი
- დაწესებულებაში მო სვლის ფორმა - თვითდინებით მოვიდა პაციენტი თუ გადმოყვანილია სხვა დაწესებულებიდან
- რეჰოსპიტალიზაციის სტატუსი - დაფიქსირებულია თუ არა პაციენტის სტაციონარულ დაწესებულებაში განმეორებითი მკურნალობა
- ქვეკომპონენტის დასახელება - ჯანდაცვის პროგრამის ქვეკომპონენტის დასახელება
- დაფინანსების წყარო - რომელი ორგანიზაცია აფინანსებს შემთხვევას

- შეტყობინების რაოდენობა - შემოსული შეტყობინების რაოდენობა
- რეგიონი - სამედიცინო დაწესებულების რეგიონალური მდებარეობა/კუთვნილება
- ორგანიზაცია - სამედიცინო დაწესებულება
- პაციენტის პირადი N - შემოსული პაციენტის პირადი (11 ნიშნა) ნომერი
- პაციენტის სახელი
- პაციენტის გვარი
- პაციენტის მიღების თარიღი - პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში მიღების თარიღი
- პირველი შეტყობინების თარიღი - სამედიცინო შემთხვევაზე პირველი შეტყობინების რეგისტრაციის თარიღი
- ბოლო შეტყობინების თარიღი - ერთ სამედიცინო შემთხვევაზე შესაძლებელია რამენიმე შეტყობინების დარეგისტრირება. რამდენიმე შეტყობინების დასარეგისტრირებლად არ იცვლება შემთხვევის ნომერი. სისტემა გვიჩვენებს ბოლო შეტყობინების თარიღს (თუმცა არის შეტყობინებების ისტორიის ქრონოლოგიურად ნახვის საშუალება)
- ინსპექტირების სტატუსი - გადამოწმებულია თუ არა სამედიცინო შემთხვევა ინსპექტორის მიერ

ასევე, შესაძლებელია მონაცემების დაჯგუფება სხვადასხვა ველების/პარამეტრების მიხედვით, მაგ: რეგიონების და ორგანიზაციების მიხედვით ცალ ცალკე ან ერთდროულად. ამ შემთხვევაში ველი „რეგიონი“ უნდა გადავიტანოთ ინტერფეისის იმ უბანზე სადაც არის მინიშნება „გადმოიტანეთ ის სვეტი რომლის მიხედვითაც გნებავთ მონაცემების დაჯგუფება“, შემდეგ ველი „ორგანიზაცია“ და ა.შ. (ნახ. 9).

ნახატი 9



4. შემთხვევის ინსპექტირება

ინსპექტორს, შეუძლია აირჩიოს დარეგისტრირებული შემთხვევებიდან ერთ-ერთი და მოახდინოს მისი ინსპექტირება.



ღილაკით (მას მერე რაც მომხმარებელი გამოიყენებს თითოეული შემთხვევის წინ არსებულ ღილაკს), შესაბამის გვერდზე აქტიურდება ყველა ის ველი, რომლის რევიზიაც უნდა მოახდინოს ინსპექტორმა (ნახ. 10). კერძოდ:

ნახატი 10



ინსპექტორი ამოწმებს სამედიცინო შემთხვევების მონაცემების კორექტულობას და შესაბამისი ველის გასწვრივ მონიშნავს გრაფას (☐ არ შეესაბამება) თუ ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

ინსპექტორის მიერ მოწმდება აგრეთვე პაციენტის პირადი და მშობლის/მეურვის/საკონტაქტო პირის ინფორმაციის სისწორე. ასევე, პაციენტის დაწესებულებაში მისვლის ფორმა (ნახ. 11):

- პაციენტის დაწესებულებაში მიღების თარიღი და დრო
- პაციენტის დაწესებულებაში მისვლის ფორმა
- პაციენტის სტატუსი

ნახატი 11



მოწმდება აგრეთვე დიაგნოზები და შესაბამისად, ინსპექტორი ამოწმებს შემდეგ ველებს (ნახ. 12):

ნახატი 12

- დიაგნოზის ტიპი - რომელი დიაგნოზით შემოვიდა პაციენტი და აღენიშნება თუ არა მას სხვა რაიმე დამატებითი დაავადება

- დაფინანსების წყარო - რომელი ორგანიზაცია აფინანსებს შემთხვევას
- სახელმწიფო კოდი (ავტომატურად გენერირდება სისტემის მიერ)
- დიაგნოზის დასახელება - რომელი დიაგნოზით შემოვიდა პაციენტი
- საერთაშორისო კოდი - კოდი საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით (მაგ.: ICD10)
- საერთაშორისო კოდის შესაბამისი დასახელება - ავტომატურად ივსება დიაგნოზის მიხედვით
- NCSP კოდი
- პროგრამა - ჯანდაცვის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მკურნალობს პაციენტი
- კომპონენტი
- სუბკომპონენტი
- ნოზოლოგია

აგრეთვე მოწმდება პაციენტის სტატუსის კორექტულობა (ნახ. 13).

ნახატი 13



ყველა ველის შემოწმების შემდეგ ინსპექტორის პასუხი კლასიფიცირდება სამ ჯგუფად (ნახ. 14):

ნახატი 14



- ასანაზღაურებელი შემთხვევა
- შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას
- სადაო შემთხვევა

შესაბამისად, ინსპექტორი უთითებს მოცემული სამი ვარიანტიდან ერთ ერთს და აკეთებს კომენტარს საჭიროების შემთხვევაში და ასევე, უთითებს დაწესებულებაში შემთხვევის გადამოწმებისას დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობას.

ინსპექტირების დასასრულებლად ინსპექტორი ირჩევს მისთვის საჭირო ღილაკს (ნახ. 15).

- შენახვა
- უარყოფა
- ინსპექტირების დასრულება

ნახატი 15

ინსპექტირების დასრულებისთვის ინსპექტორი ყველა საჭირო ველის გადამოწმების შემდეგ ღილაკი „შენახვა“-ის საშუალებით ინახავს ინსპექტირების შედეგებს და ასრულებს ინსპექტირებას ღილაკით 

.

ინსპექტირების დასრულებისას, შედეგები ავტომატურად იგზავნება სამედიცინო დაწესებულებაში, წინასწარ განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე.